განმცხადებელი: ეკა ჭოლოკავა

თარიღი: 04-02-2023

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1; პრინციპი 10

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: იმედის ტელევიზიის იმედის კვირის რედაქტორი, წამყვანი და ჟურნალისტი

სადავო მასალა: 2023 წლის, 29 იანვარს, 20:00 საათზე,იმედის ტელევიზიის ეთერში, კერძოდ, გადაცემა იმედის კვირის ეთერში გასული ინტერვიუ მიხეილ სააკაშვილის მედდასთან, ნ. პანტიაშვილთან. ონლაინ ლინკი:
https://imedinews.ge/ge/politika/278475/saakashvilis-medda-kvela-iko-dainteresebuli-rom-gamojanmrtelebuliko-magram-tviton-patsienti-ganzrakh-ar-igebda-sakvebs-da-zogiert-medikaments?fbclid=IwAR0n6Qj47iSEC7SY4ZemJcVzdT3lO3fwXnkB3C8bjNCbrHxGgbjvqnFDp3k

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება: ამა წლის 29 იანვარს, 20:00 საათზე იმედის ტელევიზიის ეთერში, კერძოდ, გადაცემა იმედის კვირის ეთერში გავიდა მიხეილ სააკაშვილის მედდასთან, ნ. პანტიაშვილთან ინტერვიუ. ინტერვიუში მედდა აცხადებს რომ ის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მედდად მუშაობდა და ამ მუშაობის პერიოდში იგი განიცდიდა ფსიქოლოგიურ წნეხს, რასაც ვერ გაუძლო და ამის გამო პაციენტთან მუშაობა შეწყვიტა. მედდამ დაადასტურა რომ ის არის ექთანი, რომელიც არის კადრებში, რომლებიც პენიტენციურმა სისტემამ გაასაჯაროვა და სადაც მიხეილ სააკაშვილი ნივთებს ისვრის და აღელვებულად იქცევა.

ინტერვიუში ექთანმა გაიხსენა შემდეგი:არავისთვის იქნება ახალი, მთელმა მსოფლიომ ნახა, საწოლიდან ვარდებოდა. პაციენტი იყო აღელვებული, ვცდილობდი დამეწყნარებინა. ვცდილობდი ამეწია საწოლის სახელურები, რომ პაციენტი არ გადმოვარდნილიყო, რაზეც უარი მივიღე. ნელ-ნელა იჩოჩებოდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. რეანიმაციიდანაც გამოვიყვანე ექიმები. როცა გავუკეთეთ მონიტორი, ცოტა ხანში მოიხსნა და გადაისროლა „ლიპუჩკები“. ჩემი გადასახედიდან, ეს უფრო დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა, რომელშიც უნიჭიერესი მსახიობი მონაწილეობდა“.

მედდამ ასევე განაცხადა რომ ის იყო სააკაშვილის ექთანი 2022 წლის აგვისტოდან ამა წლის 23 იანვრის ჩათვლით და მისი თქმით, ამ პერიოდში სააკაშვილის კრიტიკული მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა.

ჟურნალისტის დასმული კითხვაზე იღებდა თუ არა მიხეილ სააკაშვილი საკმარის კალორაჟს, მედდამ უპასუხა რომ მიხეილ სააკაშვილი ალბათ არ იღებდა საკმარის კალორაჟს, მან ასევე ისაუბრა პაციენტის კვების რაციონსა და მის მიერ წამლების შერჩევითობით მიღების შესახებ: ჩემი მორიგეობების დროს, ვნახე, რომ მოტანილი იყო ლობიო, კიტრი, კომბოსტოს სალათა. არ ვიცი რამდენ კალორიას შეიცავდა, მაგრამ პაციენტი ძალიან ცოტას ჭამდა. თვითონ არ ჭამდა. შეჭამდა 2-3 კოვზს და დანარჩენი ნაგავში. იყო შემთხვევები, როდესაც მიხეილ სააკაშვილი არჩევითად სვამდა წამალს. ზოგიერთ წამალზე უარს აცხადება. ეს ყველაფერი დანიშნულების ფურცელზეა დაფიქსირებული. გვეუბნებოდა - ამ წამალს არ დავლევ, მისი ვარაუდით „ალბათ განზრახ ეგეც“, „განზრახ არ იღებდა საკვებს და ზოგიერთ მედიკამენტს“.

მედდამ ისაუბრა სააკაშვილის მხრიდან მის მიმართ მუქარაზე : ყველა არხი ატრიალებს ერთი და იმავეს, რომ მედმუშაკები სავარაუდოდ, შევლენ მაგნიტსკის სიაში, დასაჭერ სიაში და ასე შემდეგ. პაციენტს ჩართული ჰქონდა ტელევიზორი, არ მახსოვს, რომელი არხი იყო. წნევას ვუზომავდი, როდესაც პაციენტი

ჩემკენ შემოტრიალდა და თქვა: „აი, ნონა დავიჭიროთ“. ეს ჩემთვის სტრესი იყო, რადგან ძალიან კარგად მახსოვს, რომ წნევის აპარატს ხელი გავუშვი და ვკითხე კიდევაც: „რატომ?“. ჩემთვის ძალიან გაუგებარი იყო, რას ნიშნავდა ეს.

ქალბატონმა პანტიაშვილმა აღნიშნა რომ სასამართლოზე მან განაცხადა ის რომ შალვა ხაჭაპურიძის მხრიდან მის მიმართ მუქარა არ ყოფილა, მაგრამ მას არ აღუნიშნავს რომ სასამართლოზე მან ისიც დაადასტურა რომ მის მიმართ მიხეილ სააკაშვილის მხრიდანაც არ ყოფილა მუქარა. სასამართლოსთან დაკავშირებით, ქალბატონმა ასევე განაცხადა რომ ის არ გრძნობდა სასამართლოზე თავისუფლად თავს რადგან „ყოველდღე უცხადებდნენ“ რომ არ ენდობიან, დაიჭერენ და მაგნიტსკის სიაში შეიყვანენ.

მე პირდაპირ ეთერში ვნახე ქალბატონი ნონა პანტიაშვილის ჩვენება სასამართლოში, ამის გამო გამიჩნდა ლოგიკური კითხვა: სად ამბობდა სიმართლეს ქალბატონი ნონა პანტიაშვილი, სასამართლოში, თუ გადაცემაში „იმედის კვირა“? საზოგადოებას რომელსაც ქალბატონი ნონას ჩვენება არ მოუსმენია, არ ჰქონდა ამ კითხვის დასმის საშუალება, ანუ არ ჰქონდა სრული სურათი ქალბატონი ნონას მონაყოლის სანდოობის შესახებ.

ექთანმა ისიც აღნიშნა რომ როდესაც შალვა ხაჭაპურიძემ მას შეატყობინა სასამართლოში მისი დასაკითხად დაბარების შესახებ, მისთვის „გაუგებარი იყო რა მიზეზით უნდა წასულიყო სასამართლოში დასაკითხად“. ეს ფრაზა, სწორედ იმ მედდას ეკუთვნის, რომელმაც პაციენტი სააკაშვილის პირადი კონფიდენციალური ინფორმაცია და პაციენტის მდგომარეობაზე მისი სუბიექტური მოსაზრებები და ინტერპრეტაციები გაუმჟღავნა საზოგადოებას (ჩემი გადასახედიდან, ეს უფრო დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა, რომელშიც უნიჭიერესი მსახიობი მონაწილეობდა“, „ალბათ განზრახ ეგეც“, „განზრახ არ იღებდა საკვებს და ზოგიერთ მედიკამენტს“).

ექთანმა დამატებით განაცხადა რომ დიდი ხანია („თავიდანვე განვაცხადე“) რაც არ სურდა ამ პაციენტთან მუშაობა რადგან მიხეილ სააკაშვილი მას არ ემორჩილებოდა, არ მიყვებოდა დანიშნულების მიღებაში, და „ეს აზარალებს თვითონ თავის თავს“.

ინტერვიუს დასრულებისკენ ნ. პანტიაშვილმა კვლავ აღნიშნა რომ გასაჯაროებულ კადრებში ყველამ ნახა პაცინეტის მხრიდან არ დამორჩილება და ნივთების სროლა. კითხვაზე ხშირად ხდებოდა თუ არა მსგავსი შემთხვევები, მედდმა უპასუხა: პერიოდულად. „იქ, დაჟე, ის რაც არის გამოქვეყნებული, დაჟე იქაც სჩანს“, „ის არ არის ერთი ეპიზოდი“, „ის არ არის ერთი დღე“.

კითხვაზე, შესწრებია თუ არა ქალბატონი პანტიაშვილი სააკაშვილის გულის წასვლას, ექთანმა უპასუხა:“ძირითადად, ამ ინფორმაციას ვიღებდით პაციენტიდან რომ მას გული შეუწუხდა, მაგრამ რამდენჯერაც მსგავსი ჩივილი ჰქონდა, პაციენტის წნევა, პულსი და სატურაცია იყო ნორმის ფარგლებში.

პაციენტი სააკაშვილის ყოფილმა მედდამ ისიც აღნიშნა რომ სააკაშვილთან მუშაობის დროს დადებითიც ახსენდება, „ახლა მაგი რომ არა ვთქვა, გამოვა რომ მე ვცრუობ და მე ნამდვილად არ ვცრუობ“.

კითხვაზე: რის მიხედვით იცვლებოდა სააკაშვილის განწყობა? მედდამ უპასუხა რომ მისი დაკვირვებით სააკაშვილის განწყობა სასამართლო დღეებში იცვლებოდა და ისიც დაამატა რომ სააკაშვილის პალატაში შესვლის წინ, ის პირჯვარს იწერდა და ნატრობდა რომ პაციენტი აღელვებული არ დახვედროდა და ყველაფერს კარგად ჩაეარა.

აღსანიშნავია ისიც რომ იმედის კვირაში ამ ინტერვიუს გაშვების წინ, გადაცემის წამყვანმა განაცხადა რომ „სააკაშვილი და სააკაშვილის გარემოცვა პატიმრის ჯანმრთელობით სისტემატურად სპეკულირებს, რეალობა კი სულ სხვაა“, „ყველა იბრძვის რომ ბრალდებული და მსჯავრდებული ექსპრეზიდენტი ჯანმრთელი იყოს და ღირსეულად მოიხადოს სასჯელი“. ანუ წამყვანმა ქალბატონი ნონას ინტერვიუს

წარდგენისას/წინასიტყვაობისას ამ ინტერვიუში მოწოდებულ ინფორმაცია უტყუარ, ობიექტური რეალობად წარმოადგინა და ასე მიაწოდა მაყურებელს. ასევე ირიბად მიუთითა რომ პატიმარი და ავადმყოფი სააკაშვილი უღირსად იხდის სასჯელს, რადგან ამისთვის ყველას მიერ ბრძოლაა საჭირო.

ამ შესავლისა და ინტერვიუს მოსმენისას და შემდეგ, მე როგორც მაყურებელმა და პრეზიდენტ სააკაშვილის გულშემატკივარმა ადამიანმა განვიცადე მორალური სტრესი, ვიყავი აღშფოთებული და გამიჩნდა კითხვები ამ შესავლისა და ინტერვიუს ეთიკურობის შესახებ.

ქალბატონმა პანტიაშვილმა არა მხოლოდ გაამჟღავნა პაციენტის პირადი ინფორმაცია, ინფორმაცია პაციენტის ქცევის, ქცევის პატერნების, საკვების, წამლის მიღების, პაციენტთან კომუნიკაციის დეტალები, სწორედ რომ ვთქვათ, ის ინფორმაცია რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა პაციენტთან მისი პროფესიული საქმიანობის შედეგად, არამედ სააკაშვილის ყოფილმა ექთანმა, საზოგადოებას მიაწოდა საკუთარი სუბიექტური მოსაზრებები და ინტერპრეტაციები ამ ინფორმაციისა:

„ჩემი გადასახედიდან, ეს უფრო დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა, რომელშიც უნიჭიერესი მსახიობი მონაწილეობდა“.

„ალბათ განზრახ ეგეც“, „განზრახ არ იღებდა საკვებს და ზოგიერთ მედიკამენტს“ - შეუძლებელია მედდას სცოდნოდა პაციენტის განზრახვა.

„ეს აზარალებს თვითონ თავის თავს“.

კითხვაზე: რის მიხედვით იცვლებოდა სააკაშვილის განწყობა? მედდამ უპასუხა რომ მისი დაკვირვებით სააკაშვილის განწყობა სასამართლო დღეებში იცვლებოდა.

ასევე სუბიექტური იყო წამყავანის სიტყვები, რომლებიც წინ უძღოდა ქალბატონი ნონას ინტერვიუს. როგორც უკვე ავღნიშნე, წამყვანის მიერ ინტერვიუში მოწოდებული ინფორმაცია უტყუარ, ობიექტური რეალობად იქნა წარდგენილი, ასევე მან ირიბად მიუთითა რომ პატიმარი და ავადმყოფი სააკაშვილი უღირსად იხდის სასჯელს.

„სააკაშვილი და სააკაშვილის გარემოცვა პატიმრის ჯანმრთელობით სისტემატურად სპეკულირებს, რეალობა კი სულ სხვაა“, „ყველა იბრძვის რომ ბრალდებული და მსჯავრდებული ექსპრეზიდენტი ჯანმრთელი იყოს და ღირსეულად მოიხადოს სასჯელი“

რაც მნიშვნელოვანია, გადაცემაში არ ჩანდა ჟურნალისტის მცდელობა, რომ მას საზოგადოების მიმართ გამოეჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაემოწმებინა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია (როგორც დაანონსებული იყო).ზუსტ ინფორმაციად, ქარტიის პირველი პრინციპის მიხედვით, ითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა – ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვშიშობ რომ დაირღვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპი: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შეიცავს შემდეგს:

მუხლი 42

მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო,

საგამოძიებო ორგანოები, ან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 30

1. სამედიცინო საქმიანობის აღსრულებისას ჯანმრთელობის დაცვის პერსონალმა უნდა იხელმძღვანელოს ეთიკური ფასეულობებით – ადამიანის პატივისა და ღირსების აღიარების, სამართლიანობის, თანაგრძნობის პრინციპებით, აგრეთვე პროფესიული ეთიკის შემდეგი ნორმებით:

ა) იმოქმედოს მხოლოდ პაციენტის ინტერესების შესაბამისად;

ბ) არ გამოიყენოს თავისი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება ჰუმანიზმის პრინციპების საწინააღმდეგოდ;

გ) პაციენტის ინტერესებთან დაკავშირებული პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, არ იმოქმედოს ანგარებით;

დ) იზრუნოს პროფესიული საქმიანობის პრესტიჟის ამაღლებაზე, პატივისცემით მოეპყრას კოლეგებს.

2. სამედიცინო დაწესებულება და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი ვალდებული არიან დაიცვან ინტერესთა შეუთავსებლობის შემდეგი ნორმები:

ა) პროფესიული სამედიცინო საქმიანობის განხორციელების პროცესში პაციენტებთან ურთიერთობისას არ იმოქმედონ ანგარებით, მათ შორის, მესამე პირის სასარგებლოდ;

ბ) არ შევიდნენ გარიგებაში რომელიმე სამედიცინო დაწესებულებასთან ან/და ფარმაცევტულ კომპანიასთან იმ მიზნით, რომ პირადი კომერციული დაინტერესების სანაცვლოდ გამოიყენებენ პაციენტებს და ამით რაიმე მატერიალურ სარგებელს ნახავენ;

გ) პროფესიული სამედიცინო საქმიანობის განხორციელების პროცესში დაუშვებელია ფარმაცევტული პროდუქტის განმასხვავებელი ნიშნის მქონე სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმების გამოყენება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმების დარღვევა გამოიწვევს სამედიცინო დაწესებულების ან/და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. აკრძალულია პირმა, თავისი თანამდებობრივი ან სხვაგვარი უპირატესობიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალისაგან მოითხოვოს ამ კანონში მითითებული პრინციპებისა და ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმების საწინააღმდეგო ქმედება.

დარწმუნებული ვარ რომ ქალბატონმა ნონა პანტიაშვილმა დაარღვია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 30-ე და 42-ე მუხლები.

მე მესმის რომ ამ დარღვევების დადგენა შეიძლება არ შედის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის კომპეტენციაში, მაგრამ ამასთან ვთვლი რომ ქალბატონი ნონას ინტერვიუში გადმოცემული ინფორმაციის კონფიდენციალობა არ შეიძლება იყოს კითხვის ნიშნის ქვეშ.

მე აღმაშფოთა მედდის მიერ პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის საჯაროდ გამოტანამ, ეს ინფორმაცია თანდართული სუბიექტური შეფასებებით „ამხელს“ სააკაშვილს, როგორც მსახიობს (გთხოვთ, გაიხსენოთ ხელისუფლების წევრების საჯარო შეფასებები სააკაშვილის სიმულანტობის შესახებ), აძლიერებს საზოგადოებაში პროპაგანდირებულ იმ შეხედულებას, რომ პაციენტი განა ვერ ჭამს, არ ჭამს. მიუხედავად იმისა რომ ქალბატონი პანტიაშვილი არ არის ექიმი, და სააკაშვილის ექიმებმა სასამართლოში ფიცის ქვეშ განაცხადეს რომ პაციენტი ვერ ჭამს (ანუ ეს მისი დაავადების სიმპტომია).

ინტერვიუს ყურებისას, რამდენიმეჯერ გამახსენდა „კანონში წერია, რომ ადამიანს აქვს თვითმკვლელობის უფლება“, მაგალითად ამის მოსმენის დროს: „ეს აზარალებს თვითონ თავის თავს“.

ქალბატონმა პანტიაშვილმა დაარღვია პაციენტის კონფიდენციალურობა და სუბიექტური, თუნდაც გულწრფელი ინტერპრეტაციებით ამ ინფორმაციისა, მან შესაძლოა (რბილად რომ ვთქვათ) შექმნა არასწორი საზოგადოებრივი აზრი.

ქალბატონი პანტიაშვილის მიერ გავრცელებული და ინტერპრეტირებული ინფორმაცია არ ემსახურება საზოგადო სიკეთეს, რადგან ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში სუბიექტურია, ან შეფასებები სცდება მედდის კვალიფიკაციას. ასევე, მე კითხვა მიჩნდება ექთნის გულწრფელობასთან დაკავშირებით, რადგან მან სასამართლოში ფიცის ქვეშ ნათქვამი უარყო ინტერვიუს განმავლობაში.

რაც მთავარია, ინფორმაცია რომელიც მედდამ გაავრცელა არის პაციენტ სააკაშვილის კონფიდენციალობის და ღირსების შემლახველი. ასევე აღმაშფოთებელია ის ფაქტი რომ პაციენტის გაღიზიანებულობა, აღელვება არის სიმპტომები იმ დაავადებებისა, რომლებიც სხვადასხვა ექიმების განცხადებების მიხედვით მას აქვს, კერძოდ, დემენცია და პოსტ ტრავმატული სტრესული აშლილობა. მედდის მიერ ამ თემაზე საჯაროდ საუბარი, არის არაეთიკური და არაპროფესიონალური. ცივილურ ქვეყნებში მსგავსი საქციელი შეიძლება გამხდარიყო სასამართლოს წარმოების მიზეზი, არა მხოლოდ მედდის, არამედ სამედიცინო დაწესებულების მიმართაც. ექიმები იმასაც საუბრობენ რომ მიხეილ სააკაშვილი მოწამლულია (ექიმების განცხადებები რომელსაც მე ვიყენებ წყაროდ გაჟღერდა სასამართლოში). როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, გაღიზიანება, მღელვარება არის მოწამვლის სიმპტომი/შედეგიც.

პაციენტ სააკაშვილს კონფიდენციალურობის და ღირსების საჯაროდ შელახვამ მისი მედდის მხრიდან შეიძლება მოჰგვარა/მოჰგვაროს სტრესი, რაც დამატებითი ფაქტორი შეიძლება გახდეს მისი ჯანმრთელობის გაუარესებისთვის. როგორც ვიცით, პაციენტს აქვს პალატაში ტელევიზორი და იმის ალბათობა რომ მან ეს სიუჟეტი ნახა, ან ნახავს, მაღალია.

ეს ინტერვიუ არ შეიძლება ემსახურებოდეს უფრო დიდ სიკეთეს, ვიდრე ადამიანის ჯანმრთელობაა და არ შეიძლება ამ ინტერვიუს საზოგადოებრივმა სარგებლობამ (თუ ასეთი რამ მართლაც არსებობს) გადაფაროს ის საფრთხე, რომელიც ამ ინტერვიუმ პრეზიდენტ სააკაშვილის ჯანმრთელობას შეუქმნა.

ეს ინტერვიუ დიდი ალბათობით სტრესის მომგვრელი იყო და არის მიხეილ სააკაშვილის ოჯახისთვის და მისი ახლო მეგობრებისთვის, რადგან ის ჩემთვისაც კი, და ჩემი იმ მეგობრებისთვისაც, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის გულშემატკივრები არიან, იყო და არის სტრესის მომგვრელი.

მედდაზე მეტად პასუხისმგებელია კონფიდენციალურობის დარღვევაზე, სააკაშვილის ჯანმრთელობისთვის, სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნაზე და ღირსების შემლახველი, ინტერპრეტირებული ინფორმაციის გავრცელებაზე იმედის ტელევიზია, კერძოდ, „იმედის კვირის“ რედაქცია, წამყვანი და ჟურნალისტი. რადგან სწორედ მათ მოახდინეს მედდის მონათხრობის გავრცელება, ინტერვიუს წინასიტყვით (ნახეთ ზემორე აღნიშნული) საზოგადოების აზრის სუბიექტური ფორმირებისკენ მიმართვა, თუ რესპოდენტისადმი დასმული კითხვებით კონფიდენციალური და ინტერპრეტირებული ინფორმაციის გამჟღავნების წახალისება და შემდეგ ამ ინფორმაციის გავრცელება.

ზემოთ წარდგენილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, მჯერა რომ იმედის ტელევიზიამ დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველ პრინციპთან ერთად, მეათე პრინციპიც: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას.: ვეთანხმები